


29  
825  
8



# ნაბაფულო № 21




საქართველო  
სურნალი

1908

მცირე

წლოვანთათვის.



ნოემბერი

# შინაარსი

I—* *—(ლექსი), შ. მღვიმელისა . . . . .	3
II—მელის ოინები.—(დასასრული) განდგეილისა . . . . .	5
III—პატარა მებრეს წერილები.—წერილი მეოთხე. —ვ. თაშ- როშვილისა . . . . .	11
IV—მელა.—ლექსი, შ. ლელაშვილისა . . . . .	13
V—დედა და ლომი.—(ფრანგულიდან) ს.მ. ციმაიასი . . . . .	14
VI—გმირი ბატი.—(თარგმანი), ვ. კენტაშვილისა . . . . .	16
VII—ბიძია ხეკაკუნა.—(რუსულიდან) თ. ფაღვანდიაშვილისა . . . . .	18
VIII—პარლას კენიტი.—(ვაგნერიდან), დ. ეიფანისა . . . . .	21
IX—ა) გამოცანები,—ბ) რებუსები და ილსნა . . . . .	24

899.962.1/05

5-22



# დაკარგული

წალიწალი მ-IV.

№ 21

ნოემბერი 1908 წ.



ყოჩალი მოწაფე.

Handwritten notes in purple ink, including a list of names and the number 893.

## შინაარსი

I—* * *—(ლექსი), შ. შღვიშვილისა . . . . .	3
II—მელიას ოინები.—(დასასრული) განდგეილისა . . . . .	5 <i>24</i>
III—პატარა მებრეს წერილები.—წერილი შეოთხე.—ვ. თამ- რაშვილისა . . . . .	11
IV—მელა.—ლექსი, შ. ლელაშვილისა . . . . .	13
V—დედა და ლომი.—(ფრანგულიდან) სჰმ. ტომასისა . . . . .	14
VI—გმირი ბატი.—(თარგმანი), ვ. კვანტაშვილისა . . . . .	16
VII—ბიძია ხეკაკუნა.—(რუსულიდან) თ. ფალავანდიშვილისა . . . . .	18
VIII—მარილის კენიტი.—(ვაგნერისა), დ. ყიფიანისა . . . . .	21
IX—ა) გამოცანები,—ბ) რებუსები და ილსნა . . . . .	24





\* \* \*



ამაღრო, ჩემო თამაღრო,  
მიტხაღრი, ჩემო ღაღია,  
რატომ არ მოღდის ჩემთანა  
შენი ზატარა ბაღია?!

— რა ვიცი, ჩემო ნუნუკი,  
უთუოღდ შენი ბრალღია,  
თორემ კვლავ როღდის ეოფიღლა  
გაბუტულ - შემომწურაღლია?

— ვფიციავ ჩემ კოხტა ზირიშეს,  
მოწამე არის დეღაცა:  
წუსანღელს აქეთ მაგისთვის  
არ შემიხეღდავს შეღაცა.

ქალო, სომ ჰხედავ, ჯერაცა  
 არ ამოსვლია კბილები,  
 მაშ ვიღამ შეაკნატუნა  
 მაგის წაბლი და თხილები?

— წაბლი კი მართალი არის,  
 აბა რა გითხრა თხილისა?  
 დამდგმელი არ ვარ, გენაცვა,  
 არცერთისათვის კბილისა.

— სადაც რომ წაბლი გამოხნდა,  
 იქ თხილიც შეიჭმეოდა;  
 წამლად რომ ერთი გაკეშვა,  
 განა რა წაგისდებოდა?!

— თავი არ ჰქონდა ჭამისა,  
 ვერც ინახავდა, ძალავდა;  
 სულ ერთი იყო, ტყუილად  
 სომ თავვი მოიპარავდა;

ავდექ და ისიც შევჭამე,  
 რაღა დავძალო, დაია,  
 რას ვიფიქრებდი, გენაცვა,  
 თუ გაწურებოდა ბაია!...

როდესაც ნინო თამროსთან  
 დანაშაულში ტყდებოდა,  
 მათი ბებია ჩუპ-ჩუმად  
 სიცილ-კუჭკუჭით კვდებოდა.

ზ. მღვიმელი





## მელიას ოჩინები

(დასასრული)

### II



ათვი და მელია ძალიან შეეთვისნენ ერთმანეთს. მელია სულის საქმესე იყო გადაკებული, მთელის სნათობით დახოქილი ლოცულობდა, დათვი სინარულით შესტყეროდა, დარწმუნებული იყო იმის ჰატიოსნებაში და მთელი თავისი ავლადიდება იმას ჩაბაზრა. მელია-მონაზონიც ისე ემძაკურდა იტყეოდა, ისე მოხერხებულად ასცანცლაზდა ხოლმე დათვის მონაგარს, ეშმაკიც ვერ მიუსვდებოდა: ერთის წამით გაიგულებდა თუ არა სადმე დათვისა, დაავლებდა ჰირს რაც მოხვდებოდა და გადასანსლაზდა. გაიგონებდა თუ არა დათვის ფეხის ხმას, ხელად წაიხოქებდა და შეუდგებოდა ლოცვას. დათვა ბევრჯელ შეამჩნია, რომ ეველაფერს ზომასე ძეტი აკლდებოდა, მაგრამ მელიას სომ ვერას დასწამებდა.

ერთხელ დათვი ისე მძიმე ავადმყოფი შეიქმნა თავპირისა და თვალების ტკივილით, რომ რამდენსაჲ დღეს აღარ განსცილებია თავის ბუნავს.

— იცი, დობილო, რა გითხრა? კი ნუ გეწუენება და შენი კუნება ხელს მიძლის ღვთის ვედრების დროს, ლოცვებს აბნეულად ვაძობ ხოლმე და თუ შეიძლება ცოტა ხანს დაგტოვებ, ტყეში წავალ და ვილოცებ.

— წადი, კენაცვა, უკაცრავად ვარ, რომ ლოცვას გიძლი, საშინლად ავად ვარ, ეს ოხერი...— ლობიერად უთხრა დათვამ.

მელიამ მოჰკურცხლა. მოჰხნადა ეველიან ქილას თავი და ლახათიანად გამოძა.

— დავიღალე, დობილო, ლოცვით! რაც ამ ორ დღეში დამაკლდა, დღეს შევისრულე.— უთხრა მელიამ დათვას, მკვდარივით მიეგდო და გულიანი სვრინვა ამოუშვა.

— როგორა ხარ, დობილო? მოგიკვდეს ჩემი თავი, რომ წუხელის რიგინად ვერ მოგიარე!— გულმტკივნეულად უთხრა მელიამ მეორე დილას.

— რაღა როგორა ვარ, დობილო, ტკივილები კი ცოტად დამიამდა, მაგრამ ვბრძავდები, თვალთ ვეღარასა ვხედავ...

— უი შენს მელას!— გაიოცა მელიამ და დათვთან მიიბინა. საცოდავს თვალის ქუთუთოები ერთმანეთზე გადასდებოდა მეტის სიმსივნით, ვეღარ ახელდა, ვეღარას ჰხედავდა.

— სწორედ დემეტმა მომივლინა შენი თავი, წმინდაო მონასტრო, თორემ ბრძას ვინდა მივატრონებდა!...— ამბობდა დათვი.

მელია ანუგეშებდა, მაგრამ გულში კი უსაროდა, იქნება სულაც დაბრძავდესო.

— იიიჰ ჩემს ბედსა!— ნაღვლიანად წამოიწრიანა მელიამ და უცბად უური აცქვიტა, თითქო ხმა რამ შემოესმაო.

— რომელი ხარ, რომეველი? წამოიძახა მელამ.

— რა იყო, დობილო? მწრუნველობით შევეკითხა დათვი.

— რომელი ხარ, რომეველი? კიდევ გასძახა მელიამ და ბუნავიდან გაძვრა.

— იცი, დობილო, აქვე, სოფლის ბოლოს გლენისას მემახიან, ბავშვი მოგვინათლეო, და ცოტა ხანს რომ დაგტოვო, საომ არ გეწინებთ? ჩქარა კი მოვალ, აი; მირონზე როგორ ვუთხრა უარი, თორემ.. შემოიღაპარაკა მელიამ დაბრუნებისას.

— წადი, დობილო.

მელიამ კიდევ მოჭკურცხლა, დაადგა ქილას და გული იჯერა ეველის ჭამით.

— დავიღალე, დობილო, სირბილით ქანცი გამიწვდა შენკენ მოვუჩქარებოდი... ერთი თვალი მოვატეუო ბარემ... და ამ სიტყვასთან არსეინად მიწვა გამძღარი მელია.

— მარსულობა უფრო გასუსტებს, დობილო, — მწრუნველობით უთხრა დათვმა. — ცოტა მაინც სჭამე რამე, თორემ...

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჭამა-სქას ნუ გამიხსენებ. ფიქრიც კი ცოდვას მაგაზე. ჯერ სამ იხედვც ცოდვ ღმერთსა, ნათლობაში რომ წავედი და ხალხში გავერეი, თუძცა გულთამსილავემა სამ იცის, ფიქრით იერუსალიმს ვიყავი, მთქნარებით სთქვა მელიამ და მიიძინა.

მეორე დღამდი ტკბილად ეძინა. გაეღვიძა თუ არა, მანაგონდა საწუწკარო და კბილები აუკაწკაწდა, მაგრამ აღარ იცოდა, რა ხერხისთვის მიქმართა, რომ თავი როგორმე დაესწინა და წასულიყო ეველიან ქილებიანკენ. გამოდგა ბუნავის ჰირად და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გააჭინაურა:

— რომელი ხარ, რომეველი?

— კიდევ გემახიან, დობილო? შევეკითხა დათვი.

— ჯანდაბას მაგათი თავი და ტანი. რა ეშმაკებით შემომიხინდენ! ბუხლუნით ამბობდა მელია.

— მიჭხედე, წმინდანო, მიჭხედე.

მელია გაქანდა, ხელად მოცუქცუქდა და წვენით ჩაილაზარა:

— რაღა ესლა გაასხენდათ... რას ჩამომეკიდენ! უფალო, მისხენ მე ცოდვილი...

— რა იყო, დობილო?

— რა და დიაკენიანთსა მთხოვენ, სახლის ვურთხევა გვაქვს და დგვესწარიო. დალოცვილები, როდი ფიქრობენ, არაფრად შენიტნავენ მათ შორის გარევა... ჭ? წავიდე? რას მიჩევი?

— წადი, დობილო; შენი მადლი იმათაც უწინამძღვრებს...

მელიამ საჩქაროდ მიაშურა ჩვეულ ადგილს... ერთი ქილა უკვე გათავდა... ჯერი ესლა მეორეზე იყო მიმდგარი, მაგრამ რითიღა უნდა გაჭხარვოდა დათვისა! მელია საგონებელში ჩავარდა... ჩვეულებრივად თავმოკატუნებელი დაბრუნდა დათვისან, ფიქრობდა, ფიქრობდა და ვერ გამოერჩია, რა სერვისთვის მიემართნა ხვალ.

— იცი, დობილო, რაღაც ისეთი სუნი დგას, თითქო ვეკლი უჭამია ვისმეო. გამოელაზარა დათვი.

— დასწევლოს დქერთმა! ვაი თუ კუდზე მომეცხო სადმე, ან ფენი თუ წავკარი! დავიღუპე, წავწედი სწორედ; — მწუხარებით ამბობდა მელია და თან გული ერეოდა, ეელში ამოსდიოდა უსომოდ ნაჭამი ეველი.

— რა ვიცი, — უნდოდ სთქვა დათვმა და ბუნაგის კარებს მიადგა. ეჭ, ეტეობა მზიანი დღეა! ვაი ჩემი ბრალი! ნეტავი შენ, წმიდაო დობილო, თვალთ გიჩანს! ვაი თუ სულ დავბრძავდე, რაღა მეშველება... შესჩივოდა დაღონებული დათვი.

— გული გაიმბგრე, ფიქრი ნუ გაქვს. მხოლოდ კარგს კი იხამ, დობილო, რომ დაიძინებდე. მეც უღონოდა ვარ, გული გადამელია როგორღაც...

საცოდავი დათვი მართლაც მიკვდა თავისთვის, მელია-კი

იმ ფიქრში იყო ვართული, თუ რა მოესწვებინა დათვისათვის, რომ იმის მონაგარი აქას დარჩენოდა. ბოლოს, ეშმაკურად ჩაიცინა და აღერსიანი სმით მიჭმართა დათვსა.

— იცი, დობილო, შენთვის საჭიროა წმინდა ჭაერსე სეირნობა. სულ მაგრე სომ ვერ იქნები ერთ ადგილას მიღურსმული. აბა ენა მახეენე!

გულუბრევილო დათვა ენა გამოუყო.

— უი ჩემს თვალებს! ეენაცვათ, რამსისქე ტლე ვაქეს გადადებული ენაზე! ამის ჰატრონს რაღა მადა გექნება ჭამისა! არა, უეჭველად სვალ მინდორში უნდა ვავატარო, თორემ მძიმე ავადყოფი ვამიხდები და ღმერთს რაღა ჰანსუნი ვავცე, — მწუსარე სმით ამოიბდა მელია, მაგრამ ნამდვილადკი თვალებს ცბიერად სუწავდა და იღრიჭებოდა.

— ისეც კარგი დაგეძართოს, მაგრამ როგორ უნდა ვავიგნო გზა და კვლი, რომ ვერასა ვსედავ?

— „ძმა ძმისთვისანო, შავ დღისთვისანო!“ განა რა ოხრად გინდა ჩემი თავი, თუ ვერას გამოვადგება?! ისე ვატარებ, რომ თვალ სილულსაც ვაუჭირდეს შენსავით ეოხალად სიარული. მე სარაკუნას ავიღებ, წინ ვაკიდვები და შენ იმის სმას მოჭეკვი. თუ სარაკუნა რაკუნს მოუსშირებს, იცოდე, მე ვავრბივარ და შენც გამოიქცე: თუ ნელა ირაკუნებს, ნელა წამოდი. მიხვდი?

— შენ გენაცვალოს შენი დათუნა, ჩემო მელიყო. სწორედ სოლომონ ბრძენის ჭკუა ვაქეს. აკი ბავშვობიდანვე ვატყობდი, რაც იუავი!.. ჰირფერობით იცრუბ დათვა.

— იჰ, ჭკუა კი არა და... ასეა, დობილო ღმერთი ჩამაკონებს სოლმე კეთილ საქმეს... ძამ ეგრე, სვლიდანვე შევუდგეთ საქმეს.

მეორე დღეს დილითვე მოემზადა მელია. აიღო სარაკუნა და წინ გაუძღვა დათვსა.

— დობილო, აი, ასე წამოეკვი. სომ გეძარჯვება ჩემს კვალს მოსდიო? ეკითხებოდა მელია და ცმუკავდა.

— მშვენივრად! მშვენივრად!.. გიშველოს ღმერთმა...—ლოცავდა დათვი ძელია-მონაზონს. — ცოტა კი დავიღალე, სუსტადა ვარ.

საღამოს ჟამს დაბრუნდნენ ბუნაგში. დათვი მადიანად დახურდა, ძელიაც რამდენჯერმე ჩუმად წაეპოტინა დათვის საჭმელს, მაგრამ კუჭი ვერ გაიძლო, ეშინოდა ტუჩების ცმაცუნნი არ გამოეგოს დათვმა.

მეორე დღეს უფრო ეოხაღად მიძუნძულებდა დათვი, სამაკიეროდ „მონაზონი“ დასუსტა სიმძილმა. ძლივსდა არაკუნებდა სარაკუნას, დათვი კი ისე მსიარულად იყო, თითქო გადავაიწედა თავისი სიბრძავეო.

— იცი, დობილო, აქ მშვენიერი გაშლილი მინდორია, მე გაუიქცევი და შენც თან მომეყვი. — უთხრა ძელიამ, როდესაც ერთ თვალუწვდენელ სრამს გადაადგა.

— ძალიან კარგი! ისე მოგეკურცხლო, რომ... თავმოწონებით წამოიძახა დათვა.

— აბა ჩქარა!.. — და ამ სიტყვასთან ძელიამ სრამში გადაისროლა სარაკუნა.

საბრალო დათვი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავმოძულეებული გაჰყვა სარაკუნას ხმას, მაგრამ სრამში გადაიხვს და დაიღუპა.

ძელია კი დასკუზდა სრამის ზირას და იმდენი იკისკისა, იმდენი, რომ ფერდები ეტკინა.

განდევილი





# კატარა მესრის წერილები

წერილი მეოთხე



აღაქელებო! წინა წერილში ჩემ გულის წუ-  
 სილს გატობინებდით გიძერას ფეხის ტკე-  
 ნაზედ. მას აქეთ კარგა ხანმა გაიარა, ეს-  
 ლა უკვე გასაფრულია, გიძერას ფეხი მო-  
 ურჩა და აგერ ესლა, ამ წერილის წერის  
 დროს, ტეის ზიჷში ფათალოს ფოთლებსა ჭკორჭინს. გასა-  
 ფრული კაი ფეხით მოვიდა. გუშინ დილით ჩვენმა „მერცხა-  
 ლამ“ სბო მოიგო. ჩვენებიანთ საქარო სისხამ დილაზე ამდგა-  
 რიყო და ახლად მოგებული სბო რომ დაენახა, დათვის ბელი  
 ჭკონებოდა შორიდან, არც კი მისულიყო გასასაჯად, მაშინვე  
 საჩქაროდ გამაღვიბა: ადე დავიჭიროთო; თვალის დასამსამე-  
 ბის უმაღ ფეხზედ დაგვავენა მესრეები, მიველით, ვნახეთ და...  
 სბო კი იყო. სიცვივისგან მოკუნტული მიწოლილიყო საწვა-

ლი თელის ძირსედ და თვალებს საცოდავად აბლატუნებდა. მერცხალაც იქვე იღბა, თითქო აქ არაფერიაო და წარმაცად ბალახს ზირს ატანდა. ჩვენს სინარულს სასლვარი არა ჰქონდა. დავლურიც კი ვითამაშეთ სბოს ბედობასედ! სუძრობა სომ არ იყო, ჩვენ ოჯახს ერთი სული მოემატა. ცისკარანთ ნასეიდა სოფელში გავკზავნეთ, სოლომანასთვის შეეტეობინებინა ეს ამბავი; ჩვენ კი ძალსაწიანთ სანდროს ფურ-კამეჩის რძით ერთი კარგი არიფანა გავმართეთ.

დიდი აურ-საური შეგვიდგა იმასედ, თუ რა სახელი დავგერქმია ჩუენი ახალ სტუმრისთვის. დემეტრეანთ გიგამ აიჟინა, გინდათ თუ არა „შაბათა“ დავარქვათ, რაკი შაბათ დღეს განდო. ბოლოს კვირიანთ თომას რჩევით „თვალ-ჭრელა“ დავარქვით, რადგან მარჯვენა თვალი ჭრელი აქვს. ჩუენი ბესარი და თვალ-ჭრელა ძალიან დამეგობრდნენ. როცა კი თვალ-ჭრელა დედან ცურში შეუჯდებო სოლომე რძისთვის, ბესარაც იძის ფეხებ ქვეშ გორაობს და სუძრობით უღრინავს.

მშვიდობით, ქალაქელებო! მეჩქარება, სვალე უნდა ვხნათ და საქონელი იმიტომ იქით ყორულში უნდა გავრეკო. იმედია, ზასუსს მომწერთ და თქვენ ავ-კარგიანობას შემატეობინებთ.

თქვენი ძმა ვესრე ილიკო





# მ ე ლ ა



ვე-მინდოდა კუდა-მე-  
დაცუნცულებს ნელა-ნელა;  
მუსრს ავლებს ზატარა ფრინველს,  
თუკი სადმე მოიხელა.  
ქედანი, თუ, სეკაკუნა  
ერთი ზრის მისთვის ეველა;  
მერე იცით, სამკვლამა

რამდენი რამ მოიხელა?!  
ჯაფარასაც მიეზარა,  
დაიჭირა ბოლო ჭრელა,  
შესთამაშებს ნანადირევს,  
ემძაკურად ჩახველა!  
სხვისი ძტერი და დუმხანი  
დმერთმა ეველა შეჩვენა,  
ჩვენს ძელასაც მონადირემ  
უეცრად მზე დაუბნელა!..

მ. ლელაშვილი





## დედა და ლომი

... ფრანგულიდან)




ლორენციაში სამსეცოდან გაიქცა ერთი უზარ-  
მასარი ლომი და სამინელი ღრილით გაექანა  
მილეეთის ხალხით სავსე ქუჩებისაკენ. ეველა ში-  
შის ზარდაცემული საჩქაროდ თავის ბინისკენ  
პირბოდა; მხოლოდ საბრბლო დედამ, რომელსაც ხელში ეჭი-  
რა თავისი ჰაწია შვილი, ვერ შესძლო საჭირო სისწრაფით  
გაქცევა; შიშისაგან ფერმისდილმა შენიშნა ღია კარები ერთ  
მანსლობელ სახლში და გაშტერებული იქითკენ გაექანა. მაგ-

რამ, დახეთ უბედურებას! გზასე ბავშვი სელიდან გაუვარდა. რა ქნას? დასტოვოს ბავშვი? — გამძაკებელი მხეცი ნაკუწ-ნაკუწად აქცევს... მობრუნდეს უკანვე და აიუვანოს? — მხეცი მანაც მოასწრობს და ორივეს წუთი სოფელს გამოასალმებს. მაგრამ დედის გულს ვერავითარი საფრთხე და საშინელება ვერ შეაჩერებს. უბედური დედა ფეხ ქვეშ ჩაუვარდა გააფთრებულ მხეცს, რომელსაც მაგრად ჩაეკლო კლანჭები თავისი მსხვერ ზლისათვის, ჩასჭიდა ხელები შვილს და გულ-საკლავად შეევი-რა: ლომო, შემიბრალებე, მანუქე ხეში შვილიო! დედის ლომ-ბიერმა გამოძეტველებამ და შესაბრალისმა სძამ იმოქმედა სა-შინელ მხეცზე: მან მიანება თავი ბავშვს, არავითარი ზიანი არ მიუყენა დედაშვილს და თავის გზას გაუდგა.

მხეცს თვალემა ეტეობოდა — დიდად კმაყოფილი და მხიარული იყო, რომ დედას შვილი არ წაართვა. საბრალო დედა კი ქება-დიდებათ იხსენიებდა კონიერ და შემბრალებ მხეცს.


სამ. ცომაია.





# გვირი ბატი

(თარგმანი)



ესანიშნავი ბატი ცხოვრობდა ამერიკაში ამ ორ-  
მოცდა ათი წლის წინად.

იმ დროს ინგლისელებს ომი ჰქონდათ ამე-  
რიკის მცხოვრებლებთან. ინგლისელი რაზმი  
დაბანაკდა ერთ ფერმასთან, სადაც შეიკრიბნენ  
მცხოვრებნი.

ერთსეულ დარაჯმა, რომელიც ფერმასთან იდგა, გაიგონა  
უცნაური რაღაც სმაურობა. თურმე გასუქებული, გამძღარი  
ბატი მორბოდა, ბატს უკან მძიერი გამძღარი ძეგა მოსდევდა.

დარაჯს უნდოდა თოფი ესროლა ძეგასთვის და გადაერ-  
ჩინა ბატი, მაგრამ ეშინოდა, ტყუილად მილი არ დაეფთხო  
მძინარე ჯარისთვის. ძეგა კი თან-და-თან უხსლოვდებოდა  
თავის მსხვერპლს. საცოდავი ბატი ისე დაიბნა, რომ გაკვირ-  
ვებულ დარაჯს ფეხებ ქვეშ ჩაუვარდა; ძეგამ წაჭყო თავი იმის  
დასაჭერად, მაგრამ დარაჯმა დროსე მოასწრო, დასცა თავში  
თოფის კონდასი და ბატი ძეგლის კბილებს გადააჩინა.

მას აქედ ბატი ცხოვრობდა ჯართან და უველგან თან დას-  
დევდა. როდესაც სადარაჯოდ იდგა იმისი გამომსხსელი,—ბა-  
ტიც იმის შორი-ასლოს დადიოდა.

გავიდა ორიოდე თვე, და როგორღაც ისევე ის ჯარის-

კაცი იღვა სადარბაზოდ იმავე ფერმის ახლო. მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ მძიმე, შავი ღრუბლები წამოეწოდნენ სოლმე მთვარეს და ისრე ჭებრავდნენ, რომ უცებ ჩამობეჭდებოდა სოლმე. იმ ღამეს რამოდენიმე კაცმა განისრავა, ჩუმად დასცემოდნენ დარბაზს და მოეკლათ.


ღარაჯმა არაფერი იცოდა და მშვიდობიანად შესცქეროდა თავის მეგობარ ბატს, რომელიც იმ ღამესაც თან გამოეყოლოდა.

მტრები ჩუმ-ჩუმად ეპარებოდნენ დარბაზს ნახვის სეებიდან. უცებ ერთი იმათგანი მოულოდნელად გამოვარდა ბუჩქებიდან და დანით მივარდა ჯარის კაცს.

სწორედ აქ გამოიჩინა ბატმა გმირობა. სისინით და ფრთების ქნევით, თავსედ მოექცა დანა ამოღებულ კაცს და დაუწყო ცემა, რაც ძალი და ღონე ჭქონდა თავის ღონიერ ფრთებით. როცა დანარჩენი ჩასაფრებულნი გამოსტყნენ დარბაზი უკვე მზად იყო და თოფი გაისროლა. შეთქმულნი შეშინდნენ და უგზო-უკვლად მიიძაღნენ. გულადი ფრინველი მთელის რაზმის საეგარელი შეიქნა და სასულად გერკულესი დაარქვეს. საჩუქრად ოქროს საეგლო გაუგეთეს და დააწერეს ზედ იმისი სასული და ის წელი, რა წელსაც ეს ამბავი მოხდა.

ამის შემდეგ, სწორედ თორმეტი წელიწადი კიდევ იცოცხლნა ბატმა და დარბაზის მოვალეობას ასრულებდა. ომის გათავების შემდეგ ბატი გადაიუვანეს ინგლისში. როცა მოკვდა ჯარის კაცებს ძალიან დანანდათ და გრძნობდნენ, რომ ზოგ კაცსაც არ შეუძლიან ისეთი ერთგულება და კეთილშობილება, როგორც გამოიჩინა უბრალო ბატმა.

ვ. ეგნატაშვილი





# ზიძია ხეკაკუნა

(რუსულიდან)



თეგულად და ალბლ-მართლად ემსახურებოდა ძაღლი გლეხ-კაცს: სახლს სდარჯობდა, მთელი ღამეები ჭეუფდა. მაგრამ დაბერდა ძაღლი. ცოლმა უთხრა ძაშინ ქმარსა:

— დაბერდა, დაუძლურდა ჩვენი მური, მუქთა მჭამელი გახდა. გააგდე, რიდას მაქნისია.

აიღო გლეხკაცმა და გააგდო ძაღლი.

წავიდა მური, გავიდა მინდვრად, დაჯდა და ძორთო ჯავრისგან დამუილი.

მოფრინდა ბიძა ხეკაკუნა და უთხრა:

— კაკ—კუკ! კაკ-კუკ! რასა დამუი, მური?

უამბო ეველფერი მურიძა, რაც-კი რამ თავს გადასედოდა, ხეკაკუნას შეებრალა, მური წაიყვანა ტყეში, მიიყვანა თავის ფუღუროსთან და უთხრა:

— შენ ჩემს ფუღუროსა და ბარტყებს უდარჯე, სამაგიეროდ მე კიდევ შენ გარჩენ.

ერთხელ მასლობლად ქალები მიდიოდნენ სამკალსედა და თან ქოთნებით სადილი მიჭქონდათ. ხეკაკუნა ეუბნება ძაღლსა:

— ნათლიძემ, მე წავალ ქვიშაში ამოვიგუხგლები და ქალების წინ სირბილს დავიწეებ, ვითომ ფრენა არ შემიძლიან

ისინი, ვიცი, ქოთნებს მიატოვებენ და დასაწყობად გამოძიდებებიან; მიდი მაშინა და მიირთვი, რამდენიც გენებოს.

ამოგანგლას მართლაც ჩვენი სეკაკუნა და მოჭვევა მიწასე ფორთხიანსა. ქალებიც მაშინვე დასაწყობად გამოუდგნენ. დასდევენ, რომ უფუროთ, და თან ევირიან:

— დაიჭით! დაიჭით!..

მურია-კი ამ დროს ღამასად შეექცეოდა წვეწასა. გამოძდა, ბოლოს დაჯდა ფულუროსთანა და ბარტყებს დაუწყო დარაჯობა.

ასე სცხოვრობდნენ მეკობრულად სეკაკუნა და მურია. მურიაც მაძღარი იყო და სეკაკუნაც დამძვიდებული, რომ იძის ბუდეს ხელს არავენ ასლებდა.

მურია და სეკაკუნა ერთხელ სასეირნოდ წავიდნენ. ძაღლმა უცებ მელია დაინახა, დაიჭირა და სრჩობა დაუწყო. ამ დროს მოდიოდა მურიას პატრონი; ურმით ვეება კასრი კუპრი მოჭქონდა. მურია და მელა რომ დაინახა წაჭიდებულები, აიღო კეტი, დაბარტყა და ორთავენი დასოცა.

— რა კარგია, — სთქვა გულში გლეხკაცმა, — მელას ტყვიც მექნება და აღარც მშიერი ძაღლი მეუოლება.

სეკაკუნამ რომ მურია დაინახა მკვდარი, საშინლად იწვიანა და გადასწვივია:

— კარგი, გლეხკაცო, სომ უსამართლოდ მოექცევი მურიასა, სასლიდან გამოაგდე, და ესლა მოჭკალი კიდევ, საბრალო მურია ჩემს შვილებს ერთგულად სდარაჯობდა და მეც ძაღლიერი ვიუაჟ მისი. ახლა მე ვიცი, როგორც განანიებ! და კასრის ძირს ღრუტუნა დაუწყო. კუპრი სულ ერთიანად დაუქცია. გაჯავრებულმა გლეხკაცმა შეშის ღერი ესროლა, მაგრამ ახცდინა.

— მამ, აგრე გლეხო, არცა ნანობ! უარეს დღეს დაგაუენებ! — დაემუქრა ჩვენი სეკაკუნა.

აზრინდა ურმიდანა ცხენს თავსე დააჯდა, და ნისკარ-  
ტით კორტნა დაუწყო. გლეხკაცმა კეტი მოიძარჯვა, აიღო და,  
რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ესროლა სეკაკუნსა. მაგრამ  
სეკაკუნს აზრინდა, შეშა ცხენს მოჭვდა და მიწასკდ მკვდა-  
რი დასცა.

ამ რიგად ჩვენმა უმაღურმა გლეხმა მურიაც დაკარგა,  
ცხენიცა და კუბრით სავსე კასრიცა.


### თ. ფალავანდიშვილისა





# მარლიის კვნიტი

(ვაგნერილან)



ისიც ბევრი უმოკსავრნია, ეოველთვის შესძლებს სხვეებს რამე უაძბოს! მარლიის ეოველ კვნიტს, რომელიც თქვენ ოდეს-მე გინახავთ, შეეძლო თქვენთვის ბევრი რამე ეაძბნა, რომ ღაპარაკი შესძლებოდა. თუ გნებავთ, მის მაგივრად მე გინამობთ, თუ რა გადახდა უბრლო მარლიის კვნიტს.

თავდაპირველად ეს მარლიის ნატესები სხვა ბევრ ნატესებთან ერთად, ღრმად ჩამარსულნი, მთაში, იყოფებოდნენ. ისინი მიწის ქვეშ მარლიის მთელ ნაკეცებს წარმოადგენდნენ და თეთრ თიხით იფენენ დაფარულნი.

წვიმების დროს წყალი მიწის ზედა ჰირსე გროვდებოდა, ნელ ნელა ნიადაგში, მიიწროებოდა და ბოლოს მარლიის ნაკეცებდმისაც მიაღწია. წელის ცვრები და მარლიის კვნიტები ერთმანეთში მეგობრულად ცხოვრობდნენ. როგორც კი წყალმა მარლიამდის მიატანა, მარლიის კვნიტები მაშინვე შეერივნენ და გაახსნენ მასში. ზევიდგან კი უფრო და უფრო მეტი წელის ცვრები, მოჰრუნავდა: ბოლოს მთის გულში მეტად შევიწროვდნენ, მკსავრობა უნდა გაეგრძელებინათ და გზა გაეკაუნათ, რომ თავისუფლება ემოუნათ. ცვრებს თან და თან მეტი მარლიი მიჰქონდათ. ამ ნაირად თეთრ თიხის მთაში განხნდა საუცხოვო გამოქვაბული, გრძელი, დაკლანგილი შესავალ —

განმოსავლ. თ და ძალადი გუძბათებით, რომელნიც ბროლივით თეთრ კედლებით და სვეტებით იყო შემკობილი.

წელმა შიგნიდან შთის ძირაძის ძიადწია და ხელახლა სინათლესე გამოვიდა. „მარლის წვალთა!“ წამოიძახა ადამიანმა, როდესაც იგი კასინჯა. ადამიანმა დაიწყო ჭების თხრა და წელის-სხეუანების კეთება: წელის ერთი ნაწილი აბანოებში გაიუვანეს. სადაც ავადმყოფნი და უძღურნი ბანაობდნენ და ძალდი იე ემატებოდათ. მეორე ნაწილით კი, მარლის საშობრად, შემარილეებმა ასარგებლეს. ჯერ წვალი კასინჯეს და გადსწევიტეს, რომ მასში მარლი ცოტაა, ხოლო წვალიკი ბევრი. ჯერ ძალიან თხელია, ცოტაა შიგ მარლი, ამბობდნენ ისინი, „საჭირთა უფრო ძლამე იოს!“ ამისათვის ააშენეს „წელის საქანელნი და წელის ამოსაქანნი“ და გრძელი მილებით წვალი ძაღლა, მთასე აიუვანეს. აქ ააშენეს ჯირკებისა და ეკლის წანელებსა ძალადი კედელი. კედელსე ფიცრებთა დაწეობილი; ფიცრებსე მარლიან წვალს მიუშეებენ, რომელიც კედლიდგან ნელ-ნელა, წკვლიდგან-წკვლასე მოწეეთავს. ქარისა და მხისანგან წელის უძეტესობა ორთქლად მიდის. თეთრი თისის ნაწილები, რომელნიც მარლის კვნიტებთან ერთად წვალში გაისხნა ჯერ კიდევ შთის შუა გულში, ეკლის წანელებსე დაირიშა, რისგამოც ეს უკანასკნელნი სრულად გათეთრდნენ. დანარჩენი წვალი კი, მარლითან ერთად, შენობის ძირში შეიკრება. შენახავი ხელახლა კასინჯეს და ნახეს, რომ ესლა ის საკმაოდ სქელი იყო ასე რომ ამ წელის გაუვანა მარლის გამოსასდელ ქარხანაში უკვე შეიძლება.

აქ კი დიდი, უხარ-მახარი ტაფა იმეოვება, რომელიც სივრცით ვეებერთელა ოთახის ოდენა იქნება. ტაფის ქვეშ ცეცხლია დანთებული, რის გამოც მასე დასხმული ძლამე წვალი დუდილს იწეებს. წვალი ორთქლად იქცევა და აჭერში გაიბნევა. მარლის კვნიტები, რომელნიც თეთრსა და ბრჭევი-



აღა ბროლებს წარმოადგენდენ ჰატარა, ოთსკუთს სკატიბის  
 მსგავსად, ტაფის ძირზე დარჩა.

შემდეგ მარილი გააძრეს და გააცივეს. ახლა კი ვაჭრები  
 ეიდულობენ ამ მარილს, მიაქვთ ქალაქსა და სოფლებში, დუქ-  
 ნებში, სადაც მას მზარეულები ეიდულობენ სამზარეულოსა-  
 თვის და სუფრისთვის. მზარეული მარილს საჭმელს უშვრება,  
 რისგანაც ეს უკანასკნელი უფრო გემრიელი და უუათიანი  
 არიან.

დ. ყიფიანი



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

გამოცანა ცანია, თეთრი კაბა მაცვია,  
ხან გავიხდი, ხან ჩავიცვამ ისევ თეთრი მაცვია.

ტეეში დავიბადე, ტეეში გავიზარდე,  
სახლში შემოველი, დიდი დავიძახე.

წაიქცა ჯირკვი, მიესია ჯინჭველი.

## რ ე ბ უ ს ე ბ ი



მე-20 №-ში მოთავსებულ გამოცანების ასხნა:

ძარბაღისა: — ბუ — რვა — კი.


არითმეტიკული ამოცანებისა: — ოთხი კაცი ამოიღებს თითო  
კვერცხს და მესუთე აიღებს კვლავსაც კვერცხიანად.

გამოცანებისა: — 1) საფანგი, 2) ჩიბუხი, 3) სკამი.

რებუსისა: — ეს ბალი კუსება.



# გიიღება ხელის მოწერა



1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საუმაწვილო სურბთებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.
- 2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 3 მ წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ეთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.  
 გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.